MES 8 22 0000831944

22/07/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:05სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი -** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თეა მჭედლური** - სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
9. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

10. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლაშა მარგიშვილი**	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	**ნიკოლოზ ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
6	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კახაბერ კორძაია	**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**	რექტორი	I
2	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	რომეო გალდავა	**სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	II
4	ირმა ცომაია		„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II

5	მარინა ზარქუა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	II
6	ანტონ ჩიქოვანი		ასოცირებული პროფესორი	II
7	ნინო ტაბატაძე		ასოცირებული პროფესორი	II
8	გიორგი გვალია	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ვიცე რექტორი, პროფესორი	III
9	ნინო ჯავახიშვილი		„ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლოპროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
10	თინათინ ჭინჭარაული		„ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
11	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
12	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	III
13	ირინა სამსონია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	III
14	გიორგი სოსიაშვილი	**სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**	რექტორი	IV
15	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	IV
16	ლევან მიდოდაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	IV
17	ლელე ალექსიძე		განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV
18	ლაურა ელიაური		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
19	თინათინ იოსებიძე		„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი	IV

			პერსონალის წარმომადგენელი, ასოცირებული პროფესორი	
20	თეონა ხუფენია	**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**	რექტორი	V
21	დევი ხვედელიანი		„სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
22	ნინო მაქაცარია		ფაკულტეტის დეკანი	V
23	ქეთევან ლატარია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
24	გიორგი მირიანაშვილი		ასოცირებული პროფესორი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნათია ღაჭავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ინგა დიასამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა / Medicine
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2018 გადაწყვეტილება №126
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი/Medical doctor/MD
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0912 მედიცინა

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა №73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი №1, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის გარეშე, მხოლოდ უნივერსიტეტი მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით განხორციელდა. შეფასება განხორციელდა იმ სტანდარტებთან (პირველი, მეორე და მეოთხე) მიმართებაში, რომლებთან დაკავშირებითაც განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, ხოლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად ცნობილი გახდა, რომ დაწესებულებას 2021 წლის შემდეგ განხორციელებული ქონდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს 2 რეკომენდაციას (1.2 და 2.2 კომპონენტი). გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:
1.2 კომპონენტი: რეკომენდებულია, ზოგიერთ სილაბუსებში სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციების ფორმულირებების დაკორექტირება - დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია და სილაბუსებში მოხდა სწავლის შედეგების: „ცოდნა და გაცნობიერების“, „უნარების“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ კომპეტენციების ფორმულირების დაკორექტირება,
2.2 კომპონენტი: რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად „მედიცინა განსაზღვრულია, როგორც ჯანდაცვის

სპეციალობა“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხისა და დანართების შეფასების შედეგად ჩანს, მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაში, მათ შორის ქართულენოვან თარგმანშიც, ჩანაწერი „მედიცინა ჯანდაცვის მიმართულების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციალობაა“ ჩასწორდა ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად და იკითხება: „მედიცინა ჯანდაცვის ვიწრო სფეროს უმნიშვნელოვანესი დეტალური სფეროა“; რეკომენდებულია არჩევითი კურსების: უჯრედული ბიოლოგია, ბიოფიზიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, გადატანა სავალდებულო კურსებში - თუმცა არჩევითი კურსების სავალდებულო კურსებში გადატანასთან დაკავშირებით რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს ბიოფიზიკის სწავლების აუცილებლობას პროგრამის შედეგების მისაღწევად. რაც შეეხება უჯრედული ბიოლოგიისა და სოციოლოგიის სწავლებას, საკითხზე მსჯელობა გადავადებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა რეკომენდაციის დაკორექტირება შემდეგი სახით: რეკომენდებულია არჩევითი კურსების: უჯრედული ბიოლოგია და სოციოლოგია გადატანა სავალდებულო კურსებში;

2.6 კომპონენტი: რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში დაკორექტირდეს დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით საგნის გადაბარების უფლების განმსაზღვრელი ჩანაწერი. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხისა და დანართების შეფასების შედეგად ჩანს, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია ზემოთაღნიშნული პირობა: „დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს უკვე ჩაბარებული საგნ(ებ)ის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს 3 საგნისა, კრედიტების კვოტის (მაქსიმუმ 15 კრედიტი) გათვალისწინებით. საგნის გადაბარების მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. დეკანის თანხმობის შემთხვევაში, გავლილი საგნის შედეგები უქმდება და სტუდენტი რეგისტრირდება მიმდინარე ჯგუფთან, საგნის ხელმეორედ გასავლელად. სტუდენტი ვალდებულია სემესტრის განმავლობაში (და არა ინტენსიურად), ხელმეორედ შეისწავლოს საგანი, შეასრულოს შუალედური აქტივობები, მიიღოს შუალედური შეფასებები შუალედური გამოცდის ჩათვლით და ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა. შესაბამისად, რეკომენდაცია ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში დაკორექტირდა და შენარჩუნებულ იქნა შემდეგი სახით: რეკომენდებულია დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით, საგნის გადაბარების უფლების განმსაზღვრელი ჩანაწერი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან, რომლის თანახმად, პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა და გადაბარებას ექვემდებარება დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასება (FX-41-50 ქულა) დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ სანამ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფი შეამოწმებდა პროგრამას, ჩაბარებული აქვთ 3 წლიანი ანგარიში, სადაც ირინე ფხაკაძე იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. შესაბამისად, თითქმის ერთნაირი იყო აღნიშნული რეკომენდაციები. როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა 1 წელზე მეტი გავიდა, 2021 წლის 8 აპრილს წარადგინეს დოკუმენტაცია ცენტრში და სხდომამდე, დაახლოებით, ერთი კვირით ადრე მიიღეს საბოლოო დასკვნა. თუმცა დაწესებულებამ 2021 წლის შემდეგ ყველაფერი გაასწორა, რაც 3-წლიან ანგარიშში ჰქონდათ მითითებული. სილაბუსებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ, როდესაც ლექტორი ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში წერს, რომ “სტუდენტმა იცის” - გულისხმობს, რომ, მაგ., პედიატრიაში, ფაქტობრივად, ეს არის მისი

უნარიც და მას პრაქტიკაშიც ამჟღავნებს. შესაბამისად, ზოგჯერ ძნელია იმის გამიჯვნა ეს ნამდვილად ცოდნა-გაცნობიერებაა თუ უნარი. ამიტომაც მიუთითებენ, რომ „იცის“ - ცოდნა-გაცნობიერებაში და „შეუძლია“ - უნარში. უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის გამიჯვნის შესახებ განმარტა, რომ აქაც, ზოგჯერ რთულია, რადგან რა უნარიც აქვს სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად პასუხისმგებლობის აღება.

დაწესებულებამ გაასწორა მეორე რეკომენდაციაში წარმოდგენილი ხარვეზი. ორი სასწავლო კურსის („უჯრედული ბიოლოგია“ და „სოციოლოგია“) სავალდებულო კურსებში გადატანის შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაში მითითებული იყო სასწავლო კურსები, რომლებიც არგუმენტირებული პოზიციის გაგზავნის შემდეგ მოხსნა ექსპერტთა ჯგუფმა. მისი განმარტებით, ყველა სასწავლო კურსი 360 კრედიტში ისეა ჩასმული, რომ ყველას თავისი ადგილი აქვს. შესაბამისად, მსჯელობენ თუ, სად შეიძლება გამოინახოს კრედიტები აღნიშნული ორი სასწავლო კურსის სავალდებულოდ გადასატანად.

დიპლომის კატეგორიების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულება ყველა პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალებას აძლევს 3.5 GPA-ს ქონის შემთხვევაში წარჩინების დიპლომი მიიღოს, თუმცა 15 კრედიტის ფარგლებში (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში) აძლევენ სტუდენტს იმ სასწავლო კურსების გადაბარების საშუალებას, რომელთა უფრო მაღალი ქულის შემთხვევაში უგროვდებათ 3.5 GPA. გადაბარების პროცესი შემდეგნაირია და ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ დევს ვებგვერდზეც: სტუდენტი სემესტრის დასაწყისში მიმართავს დეკანს თხოვნით უკვე ჩაბარებული საგნის ხელახლა ჩაბარების შესახებ. მარეგულირებელ წესში, ასევე, განმარტებულია, თუ რას ნიშნავს აღნიშნული, რომ სტუდენტი კონკრეტულ საგანზე რეგისტრირდება განმეორებით და ეს არ არის ინტენსიური კურსი. მსგავს შემთხვევაში, სტუდენტი გადის სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა კვირის შემადგენელ თემატიკას, მონაწილეობას იღებს აქტივობებში, გადის შუალედურ გამოცდასა და დასკვნით გამოცდაზე. თუმცა თუ მისი დასკვნით გამოცდაზე მიღებული შედეგი იქნება უკეთესი, რომელიც მიეხმარება წარჩინებით დიპლომის მიღებაში, ეს არის დაწესებულების მხრიდან ხელშეწყობა. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაასწორა აღნიშნული რეკომენდაცია და ისეთი მიმართულებით წავიდა, თითქოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-თან არ იყო შესაბამისობაში. დასკვნაში წერია - „გადაბარებას ექვემდებარება დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასება (FX -41-50 ქულა) დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში, მუხლი 4, პუნქტი 7-ში წერია, რომ არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ასევე, არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. ზემოაღნიშნული არ არის გადაბარება, არ ეხება ჩაჭრილ სტუდენტს სამ საგანში, საუბარია სტუდენტზე, რომელსაც GPA 3.5-მდე აქვს, მისი მოსაზრებით FX-ის მქონე სტუდენტის GPA ვერასდროს იქნება 3.5-თან მიახლოებული. შესაბამისად, საუბარი არ ეხება FX-ის მქონე სტუდენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა გადის თუ არა სტუდენტი თავიდან აღნიშნულ საგანს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, დაადასტურა, რომ სტუდენტი თავიდან გადის აღნიშნულ საგანს. თუ მისი შედეგი იქნება უკეთესი ძალაში შედის ახალი შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში - რჩება ძველი და ვერ მიიღებს წარჩინების დიპლომს.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა თუ რომელი ქულა რჩება სტუდენტს იმ შემთხვევაში, როდესაც სასწავლო კურსის მეორედ გავლის შემდეგ ვერ იღებს უფრო მაღალ შეფასებას. იგი ასევე დაინტერესდა თუ რა არგუმენტით აძლევენ უფლებას მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც მაღალი ქულა სჭირდებათ და უფლებას არ აძლევენ დაბალი ქულის მქონე სტუდენტებს, რადგან შესაძლებელია მათაც სურდეთ GPA-ს გაუმჯობესება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ აბსოლუტურად ყველას ეძლევა შესაძლებლობა, ხელახლა გაიაროს საგანი, რაშიც დამატებით გადასახადს არ იხდის, რადგანაც უერთდება იმ ჯგუფს, რომელიც იმ სემესტრშია.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, დააზუსტა, რომ სტუდენტი ამაში თანხას არ იხდის.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, დაადასტურა საბჭოს წევრის ნათქვამი.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, განაცხადა, რომ სტუდენტს შეუძლია 3 სასწავლო კურსი გაიაროს პარალელურად და დაინტერესდა, თუ რამდენი კრედიტის გავლა მოუწევს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ მედიცინის პროგრამაში სტუდენტს შეუძლია 360 კრედიტს + 15 კრედიტის გავლა 6 წლის განმავლობაში. ჩვეულებრივ პროგრამებში არის მაქსიმუმ 75 კრედიტი წელიწადში. თუმცა მედიცინის პროგრამის სტუდენტებს ამისი ფუფუნება არ აქვთ. შეუძლიათ მაქსიმუმ 15 კრედიტის გავლა, თუ შეძლებენ. სტუდენტები არიან ინფორმირებულები. ხდება გასაუბრება დეკანთან/პროგრამის ხელმძღვანელთან, რათა ისე შეარჩიონ სასწავლო კურსები, რომ არ მოუწიოთ ზედმეტი თანხის გადახდა. არიან სტუდენტები, რომლებიც დასაქმდნენ და კონკრეტულ სასწავლო კურსში სჭირდებათ მაღალი ქულა. ასეთ სტუდენტებსაც ეძლევათ სასწავლო კურსის თავიდან გავლის შესაძლებლობა, სრულიად უფასოდ.
ექსპერტი, ირინე ფხაკაძე, დაინტერესდა თუ რამდენად არსებობს სამართლებრივი ბაზა დადებითი შეფასების გადაბარებისა, თუ აღნიშნული დადასტურებული იქნებოდა ცენტრის მხრიდანაც, შესაძლებელია პრაქტიკა გაეზიარებინათ სხვა დაწესებულებებსაც.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ 2012 წლიდან ყველა პროგრამაში აქვთ აღნიშნული ჩანაწერი და არასდროს არც ექსპერტთა ჯგუფს და არც ცენტრს არ გაუპროტესტებია, ასევე საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩაჭრილი სტუდენტი წლების შემდეგ იმავე საგანს გაივლის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 15:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07.09.2020 გადაწყვეტილება №791399
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №26, თბილისი,0186 საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ განახორციელა ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში. ვიზიტი განხორციელდა 29 აპრილს დაწესებულებაში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ, შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელს, დამსაქმებლებს. გადაამოწმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტი და გაფორმებული მემორანდუმები. შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შესაბამისად, სამივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია 7 წლის ვადით, აკრედიტაციის მინიჭებიდან 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მოისმინა დაწესებულების ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ. მონიტორინგის შედეგად გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია კომპონენტი 2.3-ში: რეკომენდირებულია, ჩასწორდეს ფარმაკოგნოზია 1-ის სილაბუსის სწავლის შედეგი, კერძოდ უნდა გაიმიჯნოს ფარმაკოგნოზია 1-ის და ფარმაკოგნოზია 2-ის სასწავლო კურსის მიზანი. არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ დაადასტურა მზაობა რეკომენდაციის შესასრულებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 15:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.09.2011 გადაწყვეტილება №93
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 Psychology /ფსიქოლოგია

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, თბილისი 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს არ შეეძლოთ სხდომაზე დასწრება. მათ ცენტრს აცნობეს, რომ თანახმა არიან საკითხი მათ გარეშე იქნას განხილული. თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო საკითხის გადადება საბჭოს უახლოეს სხდომაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკითხის განხილვის გადადების აუცილებლობა არ იყო, რადგან საბჭოს წევრები იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და იცოდნენ მათი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავს პროგრამას.
ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაკა ლაშხიამ, განაცხადა, რომ პროგრამაზე სწავლობს 13 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაზე მიღება ცხადდება 2 წელიწადში ერთხელ, კვლევითი განაცხადების საფუძველზე. ბოლოს მიიღეს 6 სტუდენტი, რადგან ერთ ხელმძღვანელს შესაძლებელია ჰყავდეს 5 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვთ თუ არა მიღება 2 წელიწადში ერთხელ.
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაკა ლაშხიამ, განმარტა, რომ ყოველ წელს მიღებას არ აცხადებენ.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენმა სტუდენტმა დაიცვა დისერტაცია ბოლო 3 ან 5 წელში.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაკა ლაშხიამ, განმარტა, რომ ბოლო სამ წელში ერთმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია და ერთი ჩანიშნულია უახლოეს პერიოდში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:17
დასრულების დრო: 15:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.12.2019 გადაწყვეტილება №246
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს თეა მჭედლურმა და დავით ჩოჩიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ განაცხადა, რომ განახორციელა შეფასება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ბიოლოგიის' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში სრულად ასახავს მის მიერ განხორციელებულ სამუშაოს, მოდიფიცირდა, როგორც კურიკულუმი, ასევე სილაბუსებიც ახალი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. გაცემულ იქნა მხოლოდ ორი რეკომენდაცია, კომპონენტი 2.2-ში: (1) რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში მკაფიოდ ჩანდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, დაზუსტდეს თავისუფალი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა; (2) რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში გასწორდეს წინაპირობებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში მითითებულ წინაპირობებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი, დაინტერესდა, თუ არსებობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემების წარსადგენი ერთიანი ფორმა და რამდენად ასახავს აღნიშნული ფორმატი პროფესიული განვითარებისთვის ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ლევან მიდოდაშვილმა, განმარტა, რომ არსებობს აღნიშნული ფორმატი, სადაც აისახება ყველა ის ინფორმაცია, რაზეც საბჭოს წევრმა ისაუბრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ლევან მიდოდაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ორივე რეკომენდაცია, მიუხედავად განცდისა, იყო ეს რეკომენდაციები თუ რჩევები. მათი მოსაზრებით ორივე რეკომენდაცია ემსახურებოდა პროგრამის განვითარებას. აღნიშნული რეკომენდაციები უკვე დაამტკიცა ფაკულტეტის საბჭომ. შემდეგი ნაბიჯია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცება და თვითშეფასების ანგარიშში ასახვა, რომელიც უნდა წარადგინონ მიმდინარე თვის ბოლომდე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	14.12.2016 გადაწყვეტილება №138
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2100 ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. #14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი და, შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 29 აპრილს, დისტანციურად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. არაგეგმიურმა მონიტორინგმა მოიცვა პირველი, მე-2, 4.1 და მე-5 სტანდარტები, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.2:
· იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია;
კომპონენტი 2.2:
· მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც;
· რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად;
· რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“-ს სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წარმოადგენდეს;

· რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს;

კომპონენტი 2.4:

· რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად;

კომპონენტი 2.6:

· რეკომენდებულია, უსდ-მ აღმოფხვრას შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდის გადაბარების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, განაცხადა, რომ პროგრამა მორგებულია რეგიონის სტრატეგიას და მუდმივად ორიენტირებულია გაუმჯობესებაზე. არაგეგმიური მონიტორინგიც სწორად დაიგეგმა, რადგან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ვადაზე ადრე, ვიდრე შესაძლებელი იყო თვითშეფასებით მათი წარდგენა.

„სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დევი ხვედელიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები დეტალურად გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, დაეთანხმნენ მათ და რეკომენდაციების გათვალისწინებით ფიქრობენ პროგრამის გაუმჯობესებას. აღნიშნული ცვლილებები აისახება თვითშეფასებაში.

უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, განაცხადა, რომ პანდემიის დროს რეგულაციები მორგებული იყო იმ მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებიც არიან, მაგ., აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტები და ყველა მექანიზმი მორგებული იყო მათ საჭიროებებზე. მისი თქმით, უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხარისხზე და ყოველ ჯერზე მიმართულია მარეგულირებელ დოკუმენტაციასთან თანხვედრაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი, დაინტერესდა თუ როგორია ინდივიდუალური დატვირთვის შემუშავების სტრატეგია იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, რომელიც არ ცხოვრობს ქალაქ ზუგდიდში. ასევე, ასეთი პროფესორების რა რაოდენობა ასწავლის დაწესებულებაში.

საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის განცხადებით, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, პროგრამაში ორი სასწავლო კურსი (10 კრედიტის მოცულობით) გადასატანია არჩევითი საგნების ბლოკში და სთხოვა დაეზუსტებინათ აღნიშნული ორი სასწავლო კურსის ძირითად სასწავლო კურსებში მოხვედრის ლოგიკა.

„სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დევი ხვედელიანმა, განაცხადა, რომ პროგრამამ განიცადა მოდერნიზაცია. აღნიშნული ორი სასწავლო კურსის დამატებაც სწორედ ამ ფაზაში მოხდა. ისინი დაემატა ხედვით, რომ გაეძლიერებინათ ადამიანის უფლებათა სამართლისა და ევროკავშირის სამართლის სწავლება, როგორც

სავალდებულო სასწავლო კურსების. თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლისა და ევროკავშირის სამართლის ნაწილები ისწავლება სხვა სასწავლო კურსებშიც, რომლებიც სავალდებულო ხასიათისაა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების არჩევით ბლოკში გადატანა პროგრამას არ დაარღვევს. პერსონალის შესახებ განაცხადა, რომ ძალიან ბევრი რეგიონიდან ჰყავთ მოწვეული პერსონალი. წარმოდგენილია ბევრი ცნობილი იურისტი, რომლებიც პირადად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელიც დგება სემესტრულად.
უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი ნამდვილად არის პროგრამის ხარისხის გარანტი. პროფესორების საათობრივი დატვირთვა შეესაბამება პროგრამის ინტერესებს და სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა ესაუბრა აღნიშნულ რეკომენდაციაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ სტუდენტთა ინტერვიურების შედეგად, გამოიკვეთა, რომ მათ გამოთქვეს ძალიან დიდი კმაყოფილება დაწესებულების მიმართ, რადგან მათ უწყობენ ხელს. თუ ვერ მიიღებენ შესაბამის ქულას, დაწესებულება აძლევს ქულის გადაბარების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფი რამდენჯერმე ჩაეკითხა სტუდენტებს და მათ ეს დაადასტურეს, თუმცა დოკუმენტაციაში არ დასტურდება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ლატარიამ, განაცხადა, რომ შესაძლებელია სტუდენტების მხრიდან არ იყო სწორად გაგებული საკითხი. რეგულაციებში საუბარია მინიმალურ ზღვარზე, სტუდენტებისთვის ცნობილია, რომ მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გამოცდა. პრაქტიკაში არ ჰქონიათ მსგავსი შემთხვევა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ კუთხით კითხვა არ დასმულა. სტუდენტებმა თვითონ დაიწყეს საუბარი აღნიშნულზე და შემდეგ ექსპერტები ჩაეკითხნენ. სტუდენტებმა ზემოაღნიშნული ფაქტით დაადასტურეს კმაყოფილება ადმინისტრაციის მიმართ. მისი მოსაზრებით, შესაძლებელია სტუდენტებს სურდათ დადებითად წარმოეჩინათ დაწესებულება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ესწრებოდა ინტერვიუს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ ინტერვიუ ჩატარდა 6-7 სტუდენტთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 16:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გასასწორებლად დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე, სსიპ -

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები, რომლებიც ოქმშია მოცემული.

რეკომენდაციები
1.2. სტანდარტთან მიმართებაში

- იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

უსდ-მ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით და რა დონით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება) ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები;
უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში განსაზღვროს ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნული ანუ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდმ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება;
უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.
2.2. სტანდარტთანმიმართებაში

- რეკომენდებულია, მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად;
- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“-ს სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წარმოადგენდეს;
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი

სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

2.4. სტანდარტთანმიმართებაში

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.6. სტანდარტთანმიმართებაში

- რეკომენდებულია, უსდ-მ აღმოფხვრას შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდის გადაბარების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
2.3. სტანდარტთანმიმართებაში

- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ არჩევითი სასწავლო კურსები ან 6-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას;
- სასურველია, სასწავლო კურსების „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „გადახდისუუნარობის სამართალი“, „საპროკურორო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“, „სამოხელეო სამართალი“, „პროფესიული ეთიკა“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს აღნიშნული სასწავლო კურსებისათვის რელევანტური სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები.

2.4. სტანდარტთანმიმართებაში

- სასურველია, პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში, მიმღები დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწვრილებით იყოს აღწერილი პრაქტიკის გეგმაც, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას და სხვ.

2.5. სტანდარტთანმიმართებაში

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აღიწეროს არა მხოლოდ სწავლება-სწავლის მეთოდები, არამედ ის აქტივობებიც, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის პროცესში.

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.

4.1. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, უსდ-მ იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ზუგდიდი, ყველა უსდ-ში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 8 ივლისს 16:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით